



შპს „ჩემი სახლი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება



გურამ მგელაძე

დირექტორი



ნატია ჩიკვილაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს ჩემი სახლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	[4]	640,744	227,462
არამატერიალური აქტივები	[4]	4,375	726
სულ გრძელვადიანი აქტივები		645,119	228,188
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	[5]	497,838	858,236
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	[6]	486,398	448,302
ავანსები	[7]	673,861	466,186
საგადასახადო აქტივები	[8]	194,061	69,988
მარაგები	[9]	8,758,719	6,242,312
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,610,877	8,085,024
სულ აქტივები		11,255,996	8,313,212
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
კაპიტალში შეტანილი ქონება და მარაგები	[10]	3,650,607	3,599,644
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		724,295	423,743
გადაფასების რეზერვი		0	0
სულ კაპიტალი		4,375,902	4,024,387
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	[11]	0	1,124,172
ანარიცხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	1,124,172
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	[11]	4,841,271	1,337,349
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	[12]	1,102,820	1,044,416
საგადასახადო ვალდებულებები	[14]	144,436	37,677
მიღებული ავანსები	[13]	791,567	745,211
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,880,094	3,164,653
მთლიანი ვალდებულებები		6,880,094	4,288,825
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,255,996	8,313,212

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს

გურამ მგელაძე

დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს ჩემი სახლი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
შემოსავლები	[15]	21,158,054	14,586,423
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	[16]	(11,395,716)	(7,617,233)
საერთო მოგება		9,762,338	6,969,190
სხვა შემოსავლები	[19]	49,832	165,629
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	[17]	(2,141,213)	(1,558,118)
რეკლამისა და მიწოდების ხარჯები	[18]	(5,648,764)	(4,141,300)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	[20]	(226,168)	(144,735)
სხვა ხარჯები	[21]	(83,909)	(30,483)
საოპერაციო მოგება		1,712,116	1,260,183
ფინანსური შემოსავალი		0	0
ფინანსური ხარჯი	[22]	(411,564)	(105,269)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(411,564)	(105,269)
მოგება დაბეგვრამდე		1,300,552	1,154,914
მოგების გადასახადის შეთავაზი & ხარჯი	[23]	0	0
პერიოდის მოგება		1,300,552	1,154,914
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		0	0
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,300,552	1,154,914

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს

გურამ მგელაძე

დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს ჩემი სახლი

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალის შეესება	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	1,000	3,326,962	1,229,829	4,557,791
კაპიტალში შეტანილი ქონება & მარაგები		272,682		272,682
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი			1,154,914	1,154,914
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0	1,154,914	1,427,596
გაცემული დივიდენდი			(1,961,000)	(1,961,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,000	3,599,644	423,743	4,024,387
კაპიტალში შეტანილი ქონება & მარაგები		50,963		50,963
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი			1,300,552	1,300,552
პერიოდის სრული შემოსავალი	0		1,300,552	1,351,515
გაცემული დივიდენდი			(1,000,000)	(1,000,000)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,000	3,650,607	724,295	4,375,902

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს

გურამ მგელაძე
დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1,300,552	1,154,914
კორექტირებები არაფულადი მუხლებისთვის	0	0
ძირითადი საშუალებების ცვეთა	[4] 88,277	31,032
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	[4] 815	82
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	[4] 250	(376)
საპროცენტო ხარჯი	[22] 411,564	105,269
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებიდან	[20] 226,168	144,735
(შემოსულობა)/ზარალი		
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	2,027,626	1,435,656
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	[6] (38,096)	(209,138)
(ზრდა)/კლება ავანსებში	[7] (207,675)	324,372
(ზრდა)/კლება საგადასახადო აქტივებში	[8] (124,073)	(69,988)
(ზრდა)/კლება მარაგებში	[9] (2,516,407)	(2,840,838)
მფლობელების მიერ კაპიტალში შეტანილი მარაგები	[10] 0	247,090
ძირითად საშუალებად გადატანილი მარაგები	[4] (20,267)	(7,667)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	[12] 23,144	419,464
ზრდა/(კლება) მიღებულ ავანსებში	[13] 46,357	458,110
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში	[14] 106,760	(111,587)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(2,730,257)	(1,790,182)
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(702,631)	(354,526)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	[4] (437,162)	(97,169)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	[4] 2,119	11,078
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(435,043)	(86,091)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	0	0
სასესხო ვალდებულების ზრდა	[11] 7,533,915	5,328,186
სასესხო ვალდებულების დაფარვა	[11] (5,322,819)	(3,038,139)
გაცემული დივიდენდი	(1,000,000)	(1,961,000)
გადახდილი პროცენტები	[22] (411,564)	(105,269)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	799,532	223,778
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	[20] (22,256)	73,936
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(360,398)	(142,903)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	858,236	1,001,139
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	497,838	858,236

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს

გურამ მგელაძე

დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „ჩემი სახლი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

გურამ მგელაძე
დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე
მთავარი ბუღალტერი

სარჩევი

1. კომპანიის მიმოხილვა და ისტორია	7
2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	18
4. ძირითადი საშუალებები	20
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	20
7. ავანსები	21
8. წინასწარ გადახდილი გადასახადები	21
9. მარაგები	21
10. კაპიტალში შეტანილი ქონება და მარაგები	22
11. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	22
12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	23
13. მიღებული ავანსები	23
14. საგადასახადო ვალდებულებები	24
15. საოპერაციო შემოსავალი	24
18. რეკლამისა და მიწოდების ხარჯები	25
19. სხვა შემოსავლები	26
20. სხვა შემოსულობები /(ზარალი) -წმინდა	26
21. სხვა ხარჯები	26
22. ფინანსური ხარჯი	26
23. მოგების გადასახადი	27
24. ფინანსური რისკები, მართვის მიზნები და პოლიტიკა	27
25. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	28

შპს ჩემი სახლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	[4]	640,744	227,462
არამატერიალური აქტივები	[4]	4,375	726
სულ გრძელვადიანი აქტივები		645,119	228,188
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	[5]	497,838	858,236
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	[6]	486,398	448,302
ავანსები	[7]	673,861	466,186
საგადასახადო აქტივები	[8]	194,061	69,988
მარაგები	[9]	8,758,719	6,242,312
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,610,877	8,085,024
სულ აქტივები		11,255,996	8,313,212
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
კაპიტალში შეტანილი ქონება და მარაგები	[10]	3,650,607	3,599,644
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		724,295	423,743
გადაფასების რეზერვი		0	0
სულ კაპიტალი		4,375,902	4,024,387
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	[11]	0	1,124,172
ანარიცხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	1,124,172
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	[11]	4,841,271	1,337,349
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	[12]	1,102,820	1,044,416
საგადასახადო ვალდებულებები	[14]	144,436	37,677
მიღებული ავანსები	[13]	791,567	745,211
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,880,094	3,164,653
მთლიანი ვალდებულებები		6,880,094	4,288,825
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,255,996	8,313,212

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 27 სექტემბერს

გურამ მგელაძე
დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს ჩემი სახლი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
შემოსავლები	[15]	21,158,054	14,586,423
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	[16]	(11,395,716)	(7,617,233)
საერთო მოგება		9,762,338	6,969,190
სხვა შემოსავლები	[19]	49,832	165,629
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	[17]	(2,141,213)	(1,558,118)
რეკლამისა და მიწოდების ხარჯები	[18]	(5,648,764)	(4,141,300)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	[20]	(226,168)	(144,735)
სხვა ხარჯები	[21]	(83,909)	(30,483)
საოპერაციო მოგება		1,712,116	1,260,183
ფინანსური შემოსავალი		0	0
ფინანსური ხარჯი	[22]	(411,564)	(105,269)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(411,564)	(105,269)
მოგება დაბეგვრამდე		1,300,552	1,154,914
მოგების გადასახადის შეთღავათი & ხარჯი	[23]	0	0
პერიოდის მოგება		1,300,552	1,154,914
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		0	0
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,300,552	1,154,914

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს

გურამ მგელაძე
დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს ჩემი სახლი

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალის შეესება	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	1,000	3,326,962	1,229,829	4,557,791
კაპიტალში შეტანილი ქონება & მარაგები		272,682		272,682
მოგება წლის ბოლოს			1,154,914	1,154,914
სხვა სრული შემოსავალი				0
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0	1,154,914	1,427,596
გაცემული დივიდენდი			(1,961,000)	(1,961,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,000	3,599,644	423,743	4,024,387
კაპიტალში შეტანილი ქონება & მარაგები		50,963		50,963
მოგება წლის ბოლოს			1,300,552	1,300,552
სხვა სრული შემოსავალი				0
პერიოდის სრული შემოსავალი	0		1,300,552	1,351,515
გაცემული დივიდენდი			(1,000,000)	(1,000,000)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,000	3,650,607	724,295	4,375,902

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს

გურამ მგელაძე
დირექტორი

ხატია ჩიკვილაძე
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		1,300,552	1,154,914
კორექტირებები არაფულადი მუხლებისთვის		0	0
ძირითადი საშუალებების ცვეთა	[4]	88,277	31,032
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	[4]	815	82
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	[4]	250	(376)
საპროცენტო ხარჯი	[22]	411,564	105,269
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებიდან	[20]	226,168	144,735
(შემოსულობა)/ზარალი			
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		2,027,626	1,435,656
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	[6]	(38,096)	(209,138)
(ზრდა)/კლება ავანსებში	[7]	(207,675)	324,372
(ზრდა)/კლება საგადასახადო აქტივებში	[8]	(124,073)	(69,988)
(ზრდა)/კლება მარაგებში	[9]	(2,516,407)	(2,840,838)
მფლობელების მიერ კაპიტალში შეტანილი მარაგები	[10]	0	247,090
ძირითად საშუალებად გადატანილი მარაგები	[4]	(20,267)	(7,667)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	[12]	23,144	419,464
ზრდა/(კლება) მიღებულ ავანსებში	[13]	46,357	458,110
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში	[14]	106,760	(111,587)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(2,730,257)	(1,790,182)
გადახდილი მოგების გადასახადი		0	0
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(702,631)	(354,526)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	[4]	(437,162)	(97,169)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	[4]	2,119	11,078
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(435,043)	(86,091)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		0	0
სასესხო ვალდებულების ზრდა	[11]	7,533,915	5,328,186
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	[11]	(5,322,819)	(3,038,139)
გაცემული დივიდენდი		(1,000,000)	(1,961,000)
გადახდილი პროცენტები	[22]	(411,564)	(105,269)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		799,532	223,778
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	[20]	(22,256)	73,936
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(360,398)	(142,903)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		858,236	1,001,139
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		497,838	858,236

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს

გურამ მგელაძე
დირექტორიზატია ჩიკვილაძე
მთავარი ბუღალტერი

1. კომპანიის მიმოხილვა და ისტორია

შპს „ჩემი სახლი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დილმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია, სართული #2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავეჯითა და მასთან დაკავშირებული აქსესუარებით საცალო ვაჭრობა.

2017 წლიდან „შპს ჩემი სახლის“ მართვის ქვეშ არის სავაჭრო ნიშანი „ლაბორატორია ჩემი სახლი“. 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიას „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“-ისგან გადაეცა, „იტალიური შოურუმების“ სავაჭრო ნიშანი, ხოლო 2018 წლის დეკემბერში, შპს „ჩემი სახლმა“ წარმოადგინა გერმანული ბრენდის „კარე“ ოფიციალური საგამოფენო დარბაზი. 2019 წელს კომპანიამ შექმნა სავაჭრო ნიშანი „მობლერი“ 2019 წლის ბოლოსთვის შპს ჩემი სახლი ბაზარზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სავაჭრო ნიშნებით: „ლაბორატორია ჩემი სახლი“, „მობლერი“ „იტალიური შოურუმი ლაბორატორია“ და „კარე საქართველო“

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

მენეჯმენტმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, პოზიტიური ფულადი ნაკადები, მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (*IFRS for SMEs*). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განსაზღვრულია ქვემოთ. მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე ვრცელდება:

ა) შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიაში ეკონომიკური სარგებელი შემოედინება და შესაძლებელია აღნიშნული სარგებელი საიმედოდ იქნას შეფასებული.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან - აღიარდება მას შემდეგ რაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა კლიენტს. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობის და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან - აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი;
- სხვა ფინანსური ხარჯები.

ბ) უცხოური ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულებამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიის სამუშაო ფულად ერთეულში.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი, მონეტარულ ერთეულებზე, წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებული ამორტიზირებული ღირებულების, პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდების და ეფექტური პროცენტის კორექტირებების და პერიოდის ბოლოს არსებული ამორტიზირებული ღირებულების, რომელიც ანგარიშგების პერიოდის ბოლო გაცვლითი კურსით არის გადაყვანილი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით და გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით ფასდება, გადაიყვანება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში, გარდა გასაყიდად ხელმისაწვდომი კაპიტალის ინსტრუმენტების გადაყვანით გამოწვეული სხვაობებისა, რომლებიც სხვა მთლიან შემოსავალში აღიარდება.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

მოცემული მომენტისთვის, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

საანგარიშგებო და შესადარის პერიოდებში (2019 -2018 წლები) კომპანიას არ ჰქონდა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელებინა საპენსიო ან მსგავსი გასამრჯელოს გადახდები.

დ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული

წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა. 2018 წლის პირველი იანვრიდან, გარდა შემოსავლებისა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მიღებული ავანსები. მიღებულ ავანსებზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის აღდგენა (დაბრუნება/ჩათვლა) ხდება ავანსის შესაბამისი შემოსავლის აღიარებისას.

ე) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში არსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს,

თ) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ შემდგომ კლასიფიკაციაზე: სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება, როგორც ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. გაუფასურებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა („ზარალის დადგომის შემთხვევა“) გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ

არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

გაუფასურების ნებისმიერი ზარალის დადგენილი თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი (ასახული ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში) კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. სესხები, მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

ი) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და პროცენტულ სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე: თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი

ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.

- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის. სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

კ) მშობელი კომპანიისთვის ფულადი და არაფულადი დივიდენდების განაწილება

კომპანია აღიარებს ვალდებულებას, მოახდინოს ფულადი ან არაფულადი განაწილება მშობელი კომპანიისთვის, როდესაც განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მოგების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მტკიცდება პარტნიორთა და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული დადგენილებით. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

არაფულადი განაწილება ფასდება გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით და სამართლიანი ღირებულების გადაფასების აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

არაფულადი აქტივების განაწილებისას ყოველგვარი სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

ლ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისას კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფასდება მის შეძენაზე გაწეული ყველა დანახარჯით დაბრუნებადი გადასახადების გარდა. ძირითადი საშუალებების საწყის ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე (წლებზე) შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5 წელი

აქტივების ცვეთა იწყება მათი შეძენის თვიდან, ან, კომპანიის მიერ აშენებული აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების თვიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

მ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა მოხმარების საგნები ფასდება შესყიდვის ხარჯით და შეიცავს ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების აღრიცხვა და ხარჯად აღიარება ხდება „FIFO“ მეთოდით.

ნ) იჯარა

იმის განსაზღვრა, ხელშეკრულება არის საიჯარო ან მოიცავს თუ არა იჯარას დამოკიდებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან მოიცავს მას იმ შემთხვევაში როდესაც შეთანხმების შესრულება გულისხმობს სპეციფიური აქტივის ან აქტივების გამოყენების უფლების გადაცემას. იმ შემთხვევაშიც, კი როდესაც აღნიშნული აქტივების გამოყენების უფლება აშკარად არ არის განსაზღვრული ხელშეკრულების პირობების თანახმად.

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ო) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდიდება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

პ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

დებიტორული დავალიანების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით 2019 წლის 31 დეკემბრისთვის უიმედო ვალების რეზერვის შექმნა არ არის საჭირო და ეს შეფასება ყველაზე მეტი სიზუსტით ასახავს სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს. მოცემული შეფასების მთავარ საფუძველს წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ხასიათი, რომელიც თავის მხრივ გამორიცხავს გრძელვადიან და უიმედო დებიტორული დავალიანების არსებობას.

სასაქონლო მარაგების გაუფასურება

კომპანია სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა არაფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ხელმძღვანელობის შეფასებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით, ობიექტურ მახასიათებლებზე დაყრდნობით სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული შეფასების გარდა, სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალური ღირებულებით შეფასებას უზრუნველყოფს კომპანიის პოლიტიკა. კომპანიის კომერციული სპეციფიკიდან გამომდინარე, მენჯმენტს სასაქონლო მატერიალური მარაგების მიმართ აქვს დადგენილი ლიკვიდობის მკაცრი მოთხოვნები, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც აქტიურად ხორციელდება სასაქონლო მატერიალური მარაგების ერთეულთა დონეზე ლიკვიდობის კონტროლი და შედარებით ნაკლებად ლიკვიდური ერთეულების ლიკვიდობის ასამაღლებლად მათ სარეალიზაციო ფასში ჩარევა. აღნიშნული პრაქტიკა თითქმის გამორიცხავს ისეთი ხანდაზმული მარაგების არსებობას რომლებიც შესაძლოა გაუფასურების წინაშე იდგნენ.

4. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	59,680	86,373	146,053
შემოსვლა	99,041	39,960	139,001
გადაფასება	0	0	0
გასვლა	21,215	0	21,215
31 დეკემბერი 2018	137,506	126,333	263,839
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2017	3,646	3,639	7,285
პერიოდის ცვეთა	20,764	10,268	31,032
გასვლა	1,940	0	1,940
31 დეკემბერი 2018	22,470	13,907	36,377
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2017	63,326	90,012	153,338
31 დეკემბერი 2018	115,036	112,426	227,462
31 დეკემბერი 2018	137,506	126,333	263,839
შემოსვლა	408,449	113,062	521,511
გადაფასება	0	0	0
გასვლა	24,209	0	24,209
31 დეკემბერი 2019	521,746	239,395	761,141
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2018	22,470	13,907	36,377
პერიოდის ცვეთა	67,295	17,403	84,698
გასვლა	678	0	678
31 დეკემბერი 2019	90,443	31,310	120,397
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	159,976	140,240	300,216
31 დეკემბერი 2019	431,303	208,085	640,744

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.19	31.12.18
ნაღდი ფული სალაროში	24,776	8,762
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	423,835	840,168
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,490	574
ფული ბიზნეს ბარათებზე	38,737	8,732
სულ	497,838	858,236

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.19	31.12.18
მოთხოვნები რეალიზაციებიდან	392,872	366,952
მოთხოვნები ტერმინალით მომსახურებიდან	93,526	81,350
სულ	486,398	448,302

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება კომპანიის მიერ საქონლის რეალიზაციის და გაწეული მომსახურების შედეგად მისაღები თანხებისაგან. სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება, რადგან ისინი როგორც წესი ერთ საოპერაციო ციკლზე ნაკლებ ვადაში იფარება. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორული დავალიანების ანგარიშები არ ყოფილა გაუფასურებული და დარეზერვებული.

7. ავანსები

	31.12.19	31.12.18
წინასწარ გადაიღილი სავაჭრო ვალდებულებები	452,847	466,186
წინასწარ გადახდილი საიჯარო ვალდებულებები	210,612	0
წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები	10,402	0
სულ	673,861	466,186

კომპანია სასაქონლო მატერიალური მარაგების შესყიდვას ახორციელებს საზღვარგარეთ და შესაბამისად გარიგებები ფორმდება უცხოურ ვალუტაში. ყველა ასეთი შესყიდვისთვის მომწოდებელი კომპანიები ითხოვენ საავანსო გადახდას. უცხოურ ვალუტაში გადახდილი ავანსები აღიარდება უცხოურ ვალუტაში და გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღისთვის არსებული საქართველოს ევროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. ყველა მსგავსი ტიპის ავანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გდანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღის (31 დეკემბერი) სავალუტო კურსით. კომპანიას 2019 წლის ბოლოსთვის მომწოდებლებისთვის გადახდილი ჰქონდა 452,847 ლარის ავანსები.

8. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	31.12.19	31.12.18
დამატებული ღირებულების გადასახადი	0	69,988
მოგების გადასახადი	192,558	0
ქონების გადასახადი	1,503	0
სულ საგადასახადო აქტივები	194,061	69,988

კომპანიას 2019 წლის ბოლოსთვის ერიცხებოდა 192,558 ლარის მოგების გადასახადის აქტივი, რომელსაც კომპანია იყენებს, არარეზიდენტ მომწოდებლებთან ავანსის გადარიცხვების დროს. აღნიშნული ტიპის გადასახადი წარმოადგენს დაბრუნებად გადასახადს, და მას შემდეგ რაც არარეზიდენტი მომწოდებლისგან კომპანია მიიღებს სასაოწმო მატერიალურ მარაგებს, კომპანიას შეუძლია აღნიშნული გადასახადის დაბრუნება. იმის გამო რომ კომპანია დინამიურ რეჟიმში ახორციელებს ავანსების გადარიცხვებს, კომპანია ინარჩუნებს აღნიშნული დონის საგადასახადო აქტივს საგადასახადო რისკების შესამცირებლად.

9. მარაგები

შპს ჩემი სახლი

	31.12.19	31.12.18
სასაქონლო მარაგები ადგილზე	7,606,669	4,584,849
სასაქონლო მარაგები გზაში	1,152,050	1,657,463
სულ მარაგები	8,758,719	6,242,312

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანია, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულებას ანგარიშობს ფიფო მეთოდით. ხელმძღვანელობის შეფასებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით, ობიექტურ მახასიათებლებზე დაყრდნობით სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული შეფასების გარდა, სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალური ღირებულებით შეფასებას უზრუნველყოფს კომპანიის პოლიტიკა. კომპანიის კომერციული სპეციფიკიდან გამომდინარე, მენეჯმენტს სასაქონლო მატერიალური მარაგების მიმართ აქვს დადგენილი ლიკვიდობის მკაცრი მოთხოვნები, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც აქტიურად ხორციელდება სასაქონლო მატერიალური მარაგების ერთეულთა დონეზე ლიკვიდობის კონტროლი და შედარებით ნაკლებად ლიკვიდური ერთეულების სარეალიზაციო ფასში ჩარევა, ლიკვიდობის ასამაღლებლად. აღნიშნული პრაქტიკა თითქმის გამორიცხავს ისეთი ხანდაზმული მარაგების არსებობას რომლებიც შესაძლოა გაუფასურების წინაშე იდგენ.

10. კაპიტალში შეტანილი ქონება და მარაგები

კაპიტალის ზრდა	31.12.19	31.12.18
მარაგების შემოტანა	0	247,090
ძირითადი საშუალებების შემოტანა	50,963	25,592
წინა პერიოდის ნაშთი	3,599,644	3,326,962
სულ	3,650,607	3,599,644

კომპანიის დაარსების შემდგომ, საწესდებო კაპიტალის გარდა, შპს „საერთაშორისო კოოპერაცია აი სი არ“-ის მიერ მოხდა შპს „ჩემი სახლის“ კაპიტალში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და ძირითადი საშუალებების შეტანა.

11. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

	31.12.19	31.12.18
გრძელვადიანი სესხები	-	1,124,172
მოკლევადიანი სესხები	4,841,271	1,337,349
სულ სესხები	4,841,271	2,461,521

შპს ჩემი სახლი

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფიქსირდებოდა 4,841,271 ლარის სასესხო დავალიანება. მოცემული დავალიანება შედგებოდა 4 სესხისგან რომელთა ტიპები და დაფარვის თარიღები მოცემულია ცხრილში:

სესხი	სესხის ტიპი	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის სიდიდე ვალუტაში	31.12.2019 წაშთი ლარი
თიბისი ლარი	საკრედიტო ხაზი	05.02.19	05.02.20	3.5 % + რეფ განაკ.	2,650,000	2,546,039
თიბისი ლარი	საკრედიტო ხაზი	27.08.19	25.08.20	4 % + რეფ განაკ.	1,100,000	0
თიბისი დოლარი	საკრედიტო ხაზი	28.03.18	28.03.20	6.05 + USD LIBOR	500,000	1,433,850
თიბისი დოლარი	სესხი	28.02.19	28.02.20	7.70%	500,000	861,382
სულ						4,841,271

12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.19	31.12.18
სავაჭრო ვალდებულებები	346,280	181,574
საიჯარო ვალდებულებები	0	10,385
სახელფასო ვალდებულებები	604,487	420,914
არასავაჭრო ვალდებულებები	152,052	404,057
სხვა ვალდებულებები	0	27,486
სულ	1,102,820	1,044,416

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო 346,280 ლარის სავაჭრო ვალდებულებები ერიცხებოდა საკუთარი მომწოდებლების მიმართ.

არასავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ყველა იმ ვალდებულებას ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ, რომლებიც კომპანიას აწვდიდნენ პროდუქციასა და მომსახურებას, რაც კომპანიას ნორმალური ოპერირებისთვის ესაჭიროება. აღნიშნული მომწოდებლები არ არიან სასაქონლო მატერიალური მარაგების მომწოდებლები.

სახელფასო ვალდებულებებიდან 511,997 ლარის ვალდებულებას წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მენეჯმენტსა და კომერციულ გუნდზე 2019 წლის შედეგების მიხედვით საბონუსე ანაზღაურების ვალდებულებას. აღნიშნული საბონუსე განაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ (მაკორექტირებელი მოვლენა) და გაცემულ იქნა 2020 წლის სექტემბერში.

13. მიღებული ავანსები

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, მომხმარებლის მიერ კონკრეტული ნივთის შესყიდვაზე შეკვეთის გაკეთება და შესაბამისი ღირებულების გადახდა აღიარდება მიღებულ ავანსად და მხოლოდ მას შემდეგ გადადის შემოსავალში, რაც აღნიშნული ნივთს კომპანია მომხმარებელამდე მიიღიანს და მომხმარებელს გადასცემს ნივთის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. 2019 წლის ბოლოსთვის აღნიშნული ავანსების ღირებულებამ შეადგინა 791,567 ლარი.

14. საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.19	31.12.18
დამატებული ღირებულების გადასახადი	113,939	0
საშემოსავლო გადასახადი	30,497	36,647
მოგების გადასახადი	0	337
ქონების გადასახადი	0	693
სულ საგადასახადო ვალდებულებები	144,436	37,677

15. საოპერაციო შემოსავალი

	31.12.19	31.12.18
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	21,098,213	14,547,584
შემოსავალი გაყიდული საქონლის ტრანსპორტირებიდან	30,800	19,215
შემოსავალი გაყიდული საქონლის საწყობში შენახვიდან	29,042	19,625
სულ შემოსავლები	21,158,054	14,586,423

კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე, საქონლის სარეალიზაციო ფასი მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას ასევე: შეკვეთის განთავსებიდან ნივთის საწყობში ერთი თვით შენახვის ღირებულებას და თბილისის მასშტაბით საქონლის მომხმარებლისთვის სასურველ ადგილზე მიტანის ღირებულებას. ერთ თვეზე მეტი ხნით საქონლის შენახვის ან თბილისის გარეთ ტრანსპორტირების შემთხვევაში მომხმარებლები იხდიან აღნიშნული მომსახურების დადგენილ საფასურს თუ მომხმარებელსა და კომპანიას შორის ცალკეული მოლაპარაკების შედეგად სხვა პირობა არ არის შეთანხმებული.

16. რეალიზებული მარაგების თვითღირებულება

	31.12.19	31.12.18
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11,395,716	7,617,233
სულ	11,395,716	7,617,233

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვა ხდება FIFO მეთოდით. შესაბამისად სხვადასხვა პერიოდში შეძენილი ერთი ნომენკლატურის საქონლის თვითღირებულების დაანგარიშება როგორც მარაგებში ასევე რეალიზებულ პროდუქციის თვითღირებულებაში ხდება აღნიშნული მეთოდით.

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.19	31.12.18
შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციული	1,085,675	869,617
იჯარები	87,924	61,493
ბანკის მომსახურება	375,063	231,483
მივლინების ხარჯები	206,041	146,058
დაცვა	11,252	5,593
კავშირგაბმულობის ხარჯი	13,401	9,758
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,957	6,923
საკანცელარიო და კომპიუტერული ხარჯები	19,834	11,402
დაზღვევა ქონების და მარაგების	8,547	4,448
საკონსულტაციო, სარეგისტრაციო და საოფისე ქარჯები	20,796	18,960
სარემონტო ხარჯები	238,615	153,685
ბრენდის სახელის გამოყენების ხარჯები (როიალტი)	46,875	34,357
ცვეთის ხარჯი	8,876	4,343
სულ	2,141,213	1,558,118

18. რეკლამისა და მიწოდების ხარჯები

რეკლამისა და მიწოდების ხარჯები	31.12.19	31.12.18
იჯარები (მიწოდების)	2,728,835	1,843,278
შრომის ანაზღაურება (მიწოდების)	1,601,131	1,224,265
მარკეტინგის ხარჯები	751,221	681,070
კომუნალური ხარჯები	192,893	162,733
საწვავის და ავტოტრანსპორტის ხარჯი	157,803	99,883
სამეურნეო ხარჯები	130,521	83,203
საჩუქრები და აქციები	6,144	20,099
ცვეთის ხარჯი (მიწოდების)	80,216	26,771
სულ რეკლამისა და მიწოდების ხარჯები	5,648,764	4,141,300

კომერციულ ფართებსა და სასაწყობო მეურნეობაზე გაწეული ყველა ტიპის შრომის ანაზღაურება, საიჯარო ხარჯი და კომუნალური ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სასაქონლო მატერიალური ფასულობების შენახვასა და მომხმარებლამდე მიტანასთან შეიყვანება მიწოდების ხარჯებში.

მარკეტინგის ხარჯები მოიცავს ყველა ტიპის მარკეტინგულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია გაყიდვების სტიმულირებასა და მომხმარებლის მოზიდვასთან. მათ შორის: სარეკლამო პროდუქციის მოხმარება, დარიგებული საჩუქრები და მიღებული სარეკლამო მომსახურება.

ყველა ის სატრანსპორტო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სასაქონლო მატერიალური მარაგების შეძენასა და ადგილზე მიტანასთან შეიყვანება სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულებაში. ისეთი სატრანსპორტო ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია რეალიზებული საქონლის მომხმარებლამდე

შპს ჩემი სახლი

მიტანასთან მიეკუთვნება მიწოდების ხარჯებს. აღნიშნული სატრანსპორტო ხარჯი პირდაპირ პროპორციულია რელიზაციიდან შემოსავლების.

სხვა ხარჯები მოიცავს სამეურნეო მასალებს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ტრანსპორტირებისას საჭირო შესაფუთი მასალების ღირებულებას და სხვა მცირე ხარჯების მუხლებს რომელიც საჭიროა პროდუქციის მომხმარებელამდე მიტანის პროცესში.

19. სხვა შემოსავლები

	31.12.19	31.12.18
არასაოპერაციო შემოსავლები	17,298	152,229
არასაოპ. შემოსავალი (უფასო სარეკლ. კრ. ნოტები)	31,038	13,400
იჯარიდან მიღებული შემოსავლები	1,496	0
სულ	49,832	165,629

სხვა შემოსავლები მოიცავს ყველა ისეთ არასაოპერაციო შემოსავლებს რომლებიც არ წარმოადგენს ფინანსურ შემოსავლებს ან ვალუტის კურსთა შორის ცვლილებით მიღებულ შემოსავლებს.

20. სხვა შემოსულობები/(ზარალი) -წმინდა

	31.12.19	31.12.18
დადებითი საკურსო სხვაობა	(426,917)	(354,372)
უარყოფითი საკურსო სხვაობა	653,085	499,107
სულ	226,168	144,735

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავს ვალუტის კურსთა შორის ცვლილებით მიღებულ შემოსავლებს და ხარჯებს. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცმეული ეფექტი აღებულია სრულად.

21. სხვა ხარჯები

	31.12.19	31.12.18
არასაოპერაციო ხარჯები	2,410	10,700
დანაკლისების ჩამოწერა ზედმეტობა	32,947	444
სხვა გამოუქვითავი ხარჯები	48,552	19,338
სულ	83,909	30,483

22. ფინანსური ხარჯი

	31.12.19	31.12.18
სესხის პროცენტი	411,564	105,269
სულ	411,564	105,269

ფინანსური ხარჯი შედგება ფულად საკრედიტო ხარჯებზე გადახდილი პროცენტებისგან.

23. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. 2017 წლიდან საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 103-ე ნაწილის თანახმად, 2008-2016 წლებში მიღებული და 2017 წლის 1 იანვრისთვის გაუნაწილებელი მოგების განაწილება რეზიდენტი კომპანიისთვის ასევე ითვლება მოგების განაწილებად და, შესაბამისად, იბეგრება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

24. ფინანსური რისკები, მართვის მიზნები და პოლიტიკა

ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული დავალიანებისგან და პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან. კომპანია თავისი ოპერაციებიდან პირდაპირ იღებს დებიტორულ ანგარიშებს, ნაღდ ფულსა და მიმდინარე ანგარიშებს. კომპანიას აქვს საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო.

კომპანიას არ აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. კომპანია საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. იგი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო დებიტორული ანგარიშები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს დაკავშირებული მხარეების ნაშთებს და აგრეთვე მესამე მხარეების ნაშთებს, რომლებიც წარმოქმნიდან მაქსიმუმ 30-90 დღის ვადაში იფარება.

საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს დებიტორული ანგარიშების საბალანსო ღირებულება 392,872 ლარის ოდენობით (2018 წ.: 366,952 ლარი).

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გადინებისა და შემოდინების დაგეგმვით და ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის.

კომპანიის მიზანია, სესხების გამოყენებით ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებასა და მოქნილობას შორის.

სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან საბალანსო უწყისის გამოშვების თარიღისთვის მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც შეფასებული ან გაცხადებულია, მესამე დონის იერარქიას არის მიკუთვნებული.

25. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, შესაბამის საგადასახადო აუდიტის დასკვნაზე დაყრდნობით, რომ კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 31 დეკემბერი: ნული)